ინფორმაცია ქ. რუსთავში შპს „გია_2019"-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების ავტორი	შენიშვნა	პასუხი
1	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	საწარმოში უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით გზშ ანგარიშში მოწოდებულია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საწარმოს 1 აგვისტომდე უნდა მიეღო მონიტორინგის სისტემა. საინტერესოა, რა ეტაპზეა ახლა ამ სისტემის მონტაჟი?	გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საწარმოში გათვალისწინებულია უწყვეტი მონიტორინგის სისტემების მოწყობა, შესაბამის კომპანიასთან გაფორმებულია ხელშეკრულება, შეძენილია გერმანული კომპანია „Dr. Fodisch“-ის წარმოების უწყვეტი მონიტორინგის სისტემა, და მისი მიწოდება გათვალისწინებულია აგვისტოს თვის ბოლომდე. თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენელმა, დავით დარციმელიამ განმარტა, რომ მონიტორინგის სისტემის მონტაჟის ვადის გადაწევა განაპირობა სისტემების ჩამოტანის დაგვიანებამ. ბნ-ი დავითის განმარტებით, აპარატურის ჩამოტანა განხორციელდა და მიმდინარე მდგომარეობით გადიოდა საბაჟო პროცედურებს. აგრეთვე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, საწარმოს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, დაევალა დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა ინსტრუმენტული მეთოდით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად.

2	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	საწარმოს გენ-გეგმაზე დატანილი არაა სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ხმაურის წყაროები და კანალიზაციის სქემა. ასევე, ხმაურის გავრცელების შეფასება ზოგადია და მოცემული არაა კონკრეტულად რომელი დანადგარებია საწარმოში ხმაურწარმომქმნელი.	გზშ-ის ანგარიშში აღწერილია საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნის საკითხები და აღნიშნულია, რომ ხმაურის წარმომქმნელ წყაროებს წარმოადგენს წისქვილები. დოკუმენტში 15-ე გვერდზე წარმოდგენილ საწარმოს გენ-გემაზე დატანილია არსებული და საპროექტო წისქვილები. აგრეთვე, საჯარო განხილვის მსვლელობისას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომეტარი გააკეთა საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც განმარტა, რომ ხმაურის წარმომქმნელი იქნებოდა მხოლოდ წისქვილი. ხოლო კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, საპროექტო წისქვილი, მაქსიმალურად შეფუთული და დახშულია.
3	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	გზშ-ში წარმოდგენილი არქმედების ალტერნატივა ძირითადად ემსახურება ეკონომიკური სარგებლის წარმოჩენას და სათანადოდ არაა დასაბუთებული გარემოსდაცვითი მიმართულებით. ასევე, ანგარიშიდან არ ირკვევა, წარმადობის გაზრდის გადაწყვეტილების მიღებამდე, ჩატარებული იყო თუ არა შესაბამისი საპროგნოზო გათვლები ატმოსფერული ჰაერში გაფრქვევებთან დაკავშირებით, რის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ ადგილი ექნებოდა ან არ ექნებოდა დადგენილ ნორმაზე გადაჭარბებას. ალტერნატივების მოცემული მეთოდებით განხილვა, დოკუმენტაციაში არ იძლევა რაიმე სახის ინფორმაციას.	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჯარო განხილვაზე დასმულ შეკითხვას პასუხი გასცეს საქმიანობის განმახორციელებელმა და საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა. მათ აღნიშნეს, რომ გათვლები ჩატარდა და შესაბამისად მომზადდა გზშ-ის ანგარიში რომელმაც გაიარა პროცედურები და გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. მათ აღნიშნეს, რომ თავდაპირველად საწარმო იყო 5 ტონა საათზე გათვლილი და რადგან დაემატა 15 ტ/სთ წისქვილი, რომელიც ზრდის წარმადობას, საჭირო გახდა ახალი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება. მათ აღნიშნეს, რომ პროცედურა ადრეც იყო ჩატარებული და ახლაც ტარდება. შესაბამისად, ახალი გათვლები ჯამურად გაკეთდა 20 ტს/სთ-ზე. შეჯამდა

			წარმადობები და მომზადებულ იქნა ახალი გზშ-ის ანგარიში. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით სააგენტოს მიერ კომპანიას დაევალა ატმოსფერული ჰაერის ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგად უახლოეს დასახლებულ პუნქტთან არაორგანული მტვრისა და ცემენტის მტვრის კონცენტრაციების ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებზე გადაჭარბების დაფიქსირების შემთხვევაში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შემცირების დამატებითი ღონისძიებების (მათ შორის საწარმოს ფუნქციონირების შეზღუდვა/წარმადობის შემცირება და სხვ.) შემუშავების უზრუნველყოფა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებიდან ერთი თვის ვადაში სააგენტოში შესათანხმებლად წარმოდგენა.
4	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	დაზუსტებას საჭიროებს მყარი/სახიფათო ნარჩენების გატანის ინტენსივობა და პირობები; ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებელი კონტრაქტორი კომპანიები; ასევე ამ ნარჩენების შემდგომი მართვის პირობები.	გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია ნარჩენების მართვის გეგმა, აგრეთვე, დოკუმენტის 98-ე გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში მითითებულია განთავსების/მართვის ოპერაციები და სხვადასხვა ტიპის ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციები. აგრეთვე, აღნიშნულ საკითხზე, საჯარო განხილვის მსვლელობისას, კომპანიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საწამოს დიდი რაოდენობის ნარჩენები არ აქვს და მარტივია მისი მართვა. მან აგრეთვე დასძინა, რომ სახიფათო ნარჩენების გარკვეული რაოდენობის შეგროვების შემდგომ შპს „სანიტართან“ მოხდება დაკავშირება, რომელიც სახიფათო ნარჩენებს გაიტანს.

			აგრეთვე, კომენტარი გააკეთა საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ხსენებული საკითხები მოცემულია ნარჩენების მართვის გეგმაში. საყოფაცხოვრებო ნარჩენის გატანა ხდება მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ, შესაბამისი რაოდენობის ნარჩენი როცა დაგროვდება. ხოლო სახიფათო ნარჩენებზე საჭიროა გარკვეული რაოდენობის დაგროვება, რათა შესაბამისმა ორგანიზაციამ გატანა განახორციელოს. ამასთან, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებით, კომპანიას დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროსთან შეთანხმება მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად და ნარჩენების მართვის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების, შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად განხორციელება.
5	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	გზშ პარაგრაფი 3.1-ში (ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი) აღნიშნულია, რომ „საწარმოს სიმძლავრეების გაზრის შემდეგ გაიზრდება მხოლოდ ნედლეულის შემოტანის ინტენსივობა (რაოდენობა)“ თუმცა დაკონკრეტებული არაა ეს რაოდენობა, რაც ასევე უნდა აისახოს კუმულაციურ ზემოქმედებაშიც.	ინფორმაცია საწარმოს მიერ ნედლეულის ტრანსპორტირების თაობაზე წარმოდგენილია დოკუმენტის 4.10 ქვეთავში, სადაც მითითებულია, რომ კლინკერისა და ინერტული შემავსებლის შემოზიდვა მოხდება მხოლოდ დღის საათებში, შემდეგი მარშრუტით: - მშენებელთა ქუჩა - გაგარინის ქუჩა - კუზიანი ხიდი - მშვიდობის ქუჩა და უკუმიმართულებით. დოკუმენტის თანახმად, საწარმომდე მისასვლელი ავტომაგისტრალებზე მოძრაობის ინტენსივობა

			დიდი არ არის და აღნიშნული მარშუტი შეთანხმებულია ქ.რუსთავის მერიასთან. ნედლეულის მისაღებად საჭირო იქნება ყოველდღიური 14-15 გადაზიდვა მძიმე ავტოთვითმცლელებით. კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით დოკუმენტში მითითებულია, რომ ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტის გათვალისწინებით, აღნიშნული მნიშვნელოვნად არ შეცვლის სატრანსპორტო ნაკადის ინტენსივობას, მოხდება მისი უმნიშვნელო გაზრდა არსებულ ნაკადთან შეფარდებით.]
6	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებულ ქარებთან დაკავშირებით გზშ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „საწარმო ტერიტორიიდან გაბატონებული ქარები ფიქსირდება ჩრდილოდასავლეთის მხრიდან, რომელიც არ წარმოაგენს უახლოესი დასახლებული ტერიტორიის მიმართულებას“, თუმცა გაურკვეველია რა პერიოდულობით, მეთოდით განხორციელდა დაკვირვება, რასაც ეს ჩანაწერი ეყრდნობა.	საჯარო განხილვის მსვლელობისას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამ საკითხზე შესაბამისი სამსახური მუშაობდა, წლების განმავლობაში ხორციელდებოდა დაკვირვებები და ამ დაკვირვებების საფუძველზე გაკეთდა დოკუმენტში წარმოდგენილი დასკვნა. კონსულტანტის განმარტებით, დოკუმენტში მითითებული ქარები არის გაბატონებული, ძირითადი ქარი.
7	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	მოცემულ ანგარიშში ფონურ დამბინძურებლად გათვალისწინებული არაა შპს „მეგა ცემენტი“. ასევე, აღწერილი კუმულაციური ზემოქმედება ზოგადია და საჭიროებს დეტალიზაციას კონკრეტულ მაჩვენებლებსა და მონაცემებზე დაყრდნობით.	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებით დოკუმენტაცია და განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი, სადაც გათვალისწინებულ იქნა შპს „ჰაიდელბერგცემენტჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს გაფრქვევები, ასევე შპს „რუსელოისის“ ფეროშენადნობთა ქარხნისა და შპს „მეგა ცემენტის“ ცემენტის საწარმოდან გაფრქვევის ინტენსივობები.

8	**სამოქალაქო მოძრაობა „გავიგუდეთ“** **მის:** ქ.რუსთავი, კოსტავას ქ. #4 3700, gavigudet@gmail.com	გზშ-ის ანგარიშის მე-14 თავში აღნიშნულია, რომ „ამ ღონისძიებებმა ძირითადად გამოავლინა მოსახლეობის დაინტერესება შესაძლებელი დასაქმების თვალსაზრისით, რაც მიანიშნებს იმ გარემოებაზე, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობისათვის დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარემოსდაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა“ - არ ჩანს, რას ეყრდნობა ეს ჩანაწერი? ჩაატარა თუ არა კომპანიამ შესაბამისი გამოკითხვა ქ. რუსთავის მოსახლეობასთან ან შეხვდა თუ არა უახლოესი დასახლებული პუნქტის მაცხოვრებლებს, ვისთან კომუნიკაციის შედეგადაც გამოიკვეთა აღნიშნული დამოკიდებულება პროექტის მიმართ?	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვაზე კომპანიის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ პროექტის ფარგლებში იგეგმება სამუშაო ადგილების დამატება. აგრეთვე, მან აღნიშნა იმ ფაქტი, რომ საწარმოში ძირითადად რუსთაველები არიან დასაქმებული და ხაზი გაუსვა დასაქმების შესაძლებლობის მნიშვნელობას. ამასთან, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მიმდინარე საქმიანობის პროცესში დასაქმებული იქნება 45-მდე კაცი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი იქნება. დოკუმენტის მიხედვით ზემოქმედება დადებითი ხასიათისაა და მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით.